



2018 წლის 3 აგვისტოს
სსიპ საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:

თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. #33
სხდომის დაწყების დრო: 18:30

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: **დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ციციხოველიანი, გიორგი თევზაძე, ზურაბ როსტიაშვილი, გიორგი ტურაზაშვილი, ირაკლი ყანდაშვილი, მამუკა ნოზაძე, მარიამ კუბლაშვილი.**

სხდომის დღის წესრიგი

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება: შოთა ციციშვილი, ნიკო გოგიტიძე, ეკატერინე ესაკია, სოფიკო გოგიბერიძე, ოთარი ნარჩემაშვილი, თეონა გიგუაშვილი, რუსუდან ოთიაშვილი, დათო კესარელი, ინგა გაბრიელიანი, ნანა ხოშტარია, გვანცა ცაბაძე, სალომე სულხანიშვილი, მიხეილ ლურჯკაია, ლევანი ბეჟანიშვილი, ირაკლი ლიბრაძე, ტარიელი ცერცვაძე, დავითი ხვედელიძე, ლაშა ლეთოდიანი, მარიამ ჩაკვეტაძე, ავთანდილი ლეფსვერიძე, მიხეილ მესხი, საბა იმნაძე, გოგა შერმაზანაშვილი, ბაკური ჯაფარიძე, თეონა ჯანიბეგაშვილი, ლია ნადოლსკი, გივი ღვინიაშვილი, ზაზა სირბილაშვილი, ზაზა რამიშვილი, გიორგი დაბრუნდაშვილი, მარიამი ბულაშვილი, მარიამ თითბერიძე, თეონა კუბლაშვილი, მეგი საკანდელიძე, ეკატერინე ქორჩილავა;

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება: ნინო ბეგლარაშვილი;

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების გაცნობა: ნათია ბურძღლა, ლია გაბაიძე, სალომე აბულაძე, ზვიად კაპანაძე, ქეთი ბენაშვილი, გიორგი გამხიტაშვილი, რომეო ჩიქოვანი, ვახტანგ თავაძე, დავით კაკოიშვილი; 2017-2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრები: ჯემალ ბეჟანიშვილი, თამარ გიგინეიშვილი, ბარბარე ბეჟუაშვილი, გოგა ხატიაშვილი, თეიმურაზ სიმონიშვილი;

საკითხი 4. 2017-2018 წლების საწევრო გადასახადისგან გათავისუფლება/გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა: გურამ ტარტარაშვილი, ჯემალ ბეჟანიშვილი, ნათელა სირაძე, მალხაზ ნიკოლაიშვილი, თეიმურაზ მეზერიშვილი, ალექსანდრე მეკვიძე, მარინე გაბუნია, თამარ დობტურიშვილი, ინგა ბიბილეიშვილი, იონა კიკვაძე, მარინა ძამსაშვილი, ემა არზიანი, შოთა პაპიაშვილი, თინათინ დანიშაშვილი, ჯაბა ჯამაგაძე, ლეილა ბერიაშვილი, მანანა გელაშვილი, მაყვალა მახარაშვილი, სოფიო ფირჩხაძე, დავით ჯანაშია, ნინო ნიშნიანიძე, ხათუნა თეუელაშვილი, მაია დემეტრაძე, სულხან ხმალაძე, თამარ თედლიაშვილი, ირაკლი შელია;

საკითხი 5. უახლოეს წარსულში სისხლის სამართლებრივ დევნას და მსჯავრდებას დაქვემდებარებულ (რეპრესირებულ) ადვოკატთა რეაბილიტაციის კომისიის თავმჯდომარის, თამაზ ჯალიაშვილის წინადადების განხილვა - აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით დამტკიცებული - კომისიის დებულების 2.2 და 3.1 მუხლებში ცვლილებების განხორციელების თაობაზე.

საკითხი 6. “დავების ალტერნატიული ცენტრის” განცხადების განხილვა აკრედიტაციის მინიჭების შესახებ;

საკითხი 7. „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ პროექტის „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების ამალგების ხელშეწყობა საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ადვოკატთა უნარ-ჩვევების გაუმჯობესების გზით“ (დაფინანსება სოროსის ფონდი) 200-მდე ადვოკატისთვის საქართველოს მასშტაბით ტრენინგების და საკონსულტაციო სამართალწარმოებაში საკონსულტაციო კლინიკის მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

საკითხი 8. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელ კურსზე რეგისტრაციის თარიღის განსაზღვრა;

საკითხი 9. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსის ლექტორების განსაზღვრა;

საკითხი 10. 2018 წლის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ადგილისა და სავარაუდო თარიღების განსაზღვრა;

საკითხი 11. საგამოცდო პროგრამის დამტკიცება;

საკითხი 12. 2018 წლის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის სამართლის ექსპერტთა ჯგუფის განსაზღვრა;

საკითხი 13. რიგით მე-4 საერთაშორისო „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ“ კონფერენციის აკრედიტაციის საკითხი;

საკითხი 14. ასოციაციის აპარატში ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების საკითხისა და ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 2 აგვისტოს მომართვის განხილვა;

საკითხი 15. საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 21³ მუხლის, პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ფარული კენჭისყრით გადაწყვეტილების მიღება, ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თაობაზე საწევრო გადაუხდელ პირთა მიმართ ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ;

საკითხი 16. სხვადასხვა.

საკითხი 1:

წევრები გაეცნენ გასაწევრიანებელ პირთა განცხადებებს: შოთა ციციშვილი, ნიკო გოგიტიძე, ეკატერინე ესაკია, სოფიკო გოგიბერიძე, ოთარი ნარჩემაშვილი, თეონა გიგუაშვილი, რუსუდან ოთიაშვილი, დათო კესარელი, ინგა გაბრიელიანი, ნანა ხომტარია, სალომე სულხანიშვილი, მიხეილ ღურწკაია, ელვანი ბეჟანიშვილი, ირაკლი ღიბრაძე, ტარიელი ცერცვაძე, დავითი ხვედელიძე, ლაშა ლეთოდიანი, მარიამ ჩაკვეტაძე, მიხეილ მესხი, საბა იმნაძე, გოგა შერმაზანაშვილი, ბაკური ჯაფარიძე, თეონა ჯანიბეგაშვილი, ლია ნადოლსკი, გივი ღვინიაშვილი, ზაზა სირბილაშვილი, ზაზა რამიშვილი, გიორგი დაბრუნდაშვილი, მარიამ თითბერიძე, თეონა კუბლაშვილი, მეგი საკანდელიძე, ეკატერინე ქორჩილავა;

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოთხსენებულ პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

მსჯელობის შემდეგ, აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება:**

დაკმაყოფილდეს შოთა ციციშვილის, ნიკო გოგიტიძის, ეკატერინე ესაკიას, სოფიკო გოგიბერიძის, ოთარი ნარჩემაშვილის, თეონა გიგუაშვილის, რუსუდან ოთიაშვილის, დათო კესარელის, ინგა გაბრიელიანის, ნანა ხომტარიას, სალომე სულხანიშვილის, მიხეილ ღურწკაიას, ელვანი ბეჟანიშვილის, ირაკლი ღიბრაძის, ტარიელი ცერცვაძის, დავითი ხვედელიძის, ლაშა ლეთოდიანის, მარიამ ჩაკვეტაძის, მიხეილ მესხის, საბა იმნაძის, გოგა

შერმაზანაშვილის, ბაკური ჯაფარიძეს, თეონა ჯანიბეგაშვილის, ლია ნადოლსკის, გივი ღვინიაშვილის, ზაზა სირბილაშვილის, ზაზა რამიშვილის, გიორგი დაბრუნდაშვილის, მარიამ თითბერიძეს, თეონა კუბლაშვილის, მეგი საკანდელიძეს და ეკატერინე ქორჩილაგას განცხადებები გაწევრიანების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

ა) მარიამ ბულაშვილის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა შრომითი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი - სს „თიბისი ბანკიდან“, საკრედიტო ადმინისტრატორის პოზიციაზე მუშაობის შესახებ 2017 წლის 8 (რვა) მაისიდან 2018 წლის 6 (ექვსი) ივლისის მდგომარეობით. ამავე ცნობაში მითითებული იყო აღნიშნული პოზიციისთვის გათვალისწინებულ სხვა ფუნქცია-მოვალეობებთან ერთად:

- საკრედიტო და სხვა იურიდიული დოკუმენტაციის მომზადება, კანონმდებლობასთან და ბანკის სტანდარტებთან/ინსტრუქციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფით;
- საკრედიტო ასისტენტებისა და ექსპერტებისათვის კვალიფიციური იურიდიული/ადმინისტრაციული კონსულტაციის გაწევა საკრედიტო დოკუმენტაციის გაფორმებასა და ამ დოკუმენტაციის გასაფორმებლად საჭირო საბუთების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტით ნათლად არ დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი; ცნობაში მითითებული ფუნქციები არის ზოგადი ხასიათის და არ მოიცავს კონკრეტიკას შესასრულებელი სამუშაოს შესახებ, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ აღნიშნული შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან. წევრებმა განაცხადეს, რომ მარიამ ბულაშვილს შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით დაევალოს საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით, დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენა კერძოდ, პოზიციისთვის გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობის მითითებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. ამავე მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. შეჩერდეს მარიამ ბულაშვილის განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;

2. მარიამ ბულაშვილის განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

ბ) ავთანდილ ლეფსვერიძის განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა შრომითი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი - შპს „მაი მობაილ+“-დან, მენეჯერის პოზიციაზე მუშაობის შესახებ 2011 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის იანვრის ჩათვლით. ამავე ცნობაში მითითებული იყო აღნიშნული პოზიციისთვის გათვალისწინებულ ფუნქცია-მოვალეობები კერძოდ,

- პროფესიული სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირებისთვის კომპანიის ინტერესებისთვის საჭირო მიმართულებით, კერძოდ შრომით, სახელშეკრულებო, საგადასახადო თუ ბანკთან არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობების საკითხებზე.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტით ნათლად არ დასტურდება იურისტის პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფაქტი; ცნობაში მითითებული ფუნქციები არის ზოგადი ხასიათის და არ მოიცავს კონკრეტულად შესასრულებელი სამუშაოს შესახებ, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრები იმსჯელებდნენ აღნიშნული შრომითი სტაჟის შესაბამისობაზე საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნასთან. წევრებმა განაცხადეს, რომ ავთანდილ ლეფსვერიძეს შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით დაევალოს საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით, დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენა კერძოდ, პოზიციისთვის გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების, სამუშაო აღწერილობისა და კონკრეტულად გაწერილი ფუნქცია-მოვალეობების მითითებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. ამავე მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, განცხადების განხილვის ვადის დინება განახლდება შესაბამისი საბუთის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. შეჩერდეს ავთანდილ ლეფსვერიძის განცხადების განხილვა გამოთხოვილი დოკუმენტის წარმოდგენამდე;
2. ავთანდილ ლეფსვერიძის განცხადების განხილვის ვადის დინება გაგრძელდეს მითითებული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ;
3. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

გ) გვანცა ცაბაძეს განცხადებას გაწევრიანების შესახებ. მას წარმოდგენილი ჰქონდა ააიპ „თბილისელების ადვოკატის“ მიერ საადვოკატო სტაჟირების დამადასტურებელი სერთიფიკატი 2011 წლის 1-ლი ნოემბრიდან 2012 წლის 1-ლი ნოემბრის ჩათვლით.

საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილია იმპერატიული მოთხოვნა, რომლის თანახმად, გაწევრიანების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი, რომელიც ამავდროულად, უნდა იყოს შესაბამისობაში ამავე კანონის მე-16 მუხლის, პირველი პუნქტით დადგენილ სტაჟირების გავლის წესთან რომლის თანახმად, პირს რომელსაც სურს გაიაროს სტაჟირება ადვოკატთან ან საადვოკატო ბიუროში გამცხადებით უნდა მიმართოს ადვოკატს ან საადვოკატო ბიუროს და ადვოკატთა ასოციაციას სტაჟიორად გამწესების შესახებ კანონით დადგენილი წესით. განმცხადებელს კანონმდებლობით დადგენილი წესით არ უცნობებია ადვოკატთა ასოციაციისთვის სტაჟიორად გამწესების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება:**

1. არ დაკმაყოფილდეს გვანცა ცაბაძის განცხადება გაწევრიანების თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო;
2. განმცხადებელს წერილობით ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების წესის თაობაზე.

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ:

დ) თინათინ სუდაძის მიერ დამატებით წარმოდგენილ სამუშაო სტაჟის დამადასტურებელ ცნობას. თინათინ სუდაძემ განცხადებით გაწევრიანების შესახებ ადვოკატთა ასოციაციას მომართა 2018 წლის 29 ივნისს. აღმასრულებელმა საბჭოს განიხილა განცხადება თანდართული დოკუმენტებით და 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით თინათინ სუდაძეს შრომითი გამოცდილების შესაბამისობის დადგენის მიზნით საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით, დაეკლა დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენა კონკრეტულად გაწერილი ფუნქცია-მოვალეობების და სამუშაოს აღწერილობის მითითებით.

წევრები გაეცნენ თინათინ სუდაძის მიერ დამატებით წარდგენილ დოკუმენტს და ღია კენჭისყრის შედეგად 6 მომხრე (დავით ასათიანი, ირაკლი ყანდაშვილი, ციცილო ცხვედიანი, გიორგი თევზაძე, გიორგი ტურაზაშვილი, ზურაბ როსტიაშვილი) 2 წინააღმდეგი (მამუკა ნოზაძე, მარიამ კუბლაშვილი) მიღებულ იქნა **გადაწყვეტილება:**

დაკმაყოფილდეს თინათინ სულაძის განცხადება გაწევრიანების შესახებ.

საკითხი 2:

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების მსურველი ნინო ბეგლარაშვილის განცხადებას. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ნინო ბეგლარაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადება თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

მსჯელობის შემდეგ, აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

“ადვოკატთა შესახებ” კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნინო ბეგლარაშვილის ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადება.

საკითხი 3.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებებს: ნათია ბურბულა, ლია გაბაიძე, სალომე აბულაძე, ზვიად კაპანაძე, ქეთი ბენაშვილი, გიორგი გამბიტაშვილი, რომეო ჩიქოვანი, ვახტანგ თავაძე, დავით კაკოიშვილი; 2017-2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრები: ჯემალ ბეჟანიშვილი, თამარ გიგინეიშვილი, ბარბარე ბეჟუაშვილი, გოგა ხატიაშვილი, თეიმურაზ სიმონიშვილი.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2017-2018 წლების საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: “საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის

შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, 1 პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება**:

“ადვოკატთა შესახებ” კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოთჩამოთვლილ შემდეგ პირთა განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ: **ნათია ბურძგლა, ლია გაბაიძე, სალომე აბულაძე, ზვიად კაპანაძე, ქეთი ბენაშვილი, გიორგი გამბიტაშვილი, რომეო ჩიქოვანი, ვახტანგ თავაძე, დავით კაკოიშვილი.** ამასთან, 2017-2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირებს: **ჯემალ ბეჟანიშვილი, თამარ გიგინეიშვილი, ბარბარე ბეჟუაშვილი, გოგა ხატიაშვილი, თეიმურაზ სიმონიშვილი,** ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ წევრობა.

საკითხი 4.

თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა ადვოკატთა ინდივიდუალური განცხადებები **2017-2018 წლების საწევრო გადასახადისგან გათავისუფლება/გადავადების შესახებ: გურამ ტარტარაშვილი, ჯემალ ბეჟანიშვილი, ნათელა სირაძე, მალხაზ ნიკოლაიშვილი, თეიმურაზ მეზვრიშვილი, ალექსანდრე მეკვიძე, მარინე გაბუნია, თამარ დოხტურიშვილი, ინგა ბიბილეიშვილი, იონა კიკვაძე, მარინა ძამსაშვილი, ემა არზიანი, შოთა პაპიაშვილი, თინათინ დანიშაშვილი, ჯაბა ჯამაგიძე, ლეილა ბერიაშვილი, მანანა გელაშვილი, მაყვალა მახარაშვილი, სოფიო ფირჩხაძე, დავით ჯანაშია, ნინო ნიშნიანიძე, ხათუნა თეზელაშვილი, მაია დემეტრაძე, სულხან ხმალაძე, თამარ თედლიაშვილი, ირაკლი შელია;**

წევრებმა განაცხადეს, რომ რადგან მოცემული მდგომარეობით, არ არსებობს დადგენილი კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მოხდებოდა აღნიშნული განცხადებების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება; ასევე, გასულ სხდომაზე დაკმაყოფილდა ყველა მსგავსი განცხადება, საბჭო თვლის, რომ წევრთა დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიზნით, მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილი განცხადებები უნდა დაკმაყოფილდეს განცხადებებში მითითებული მოთხოვნების მიხედვით, თუმცა აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა იქვე დასძინეს, როგორც მიმდინარე წლის 29 მაისის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე გადაწყდა და აუცილებლად შემუშავდება საწევრო გადასახადისგან გათავისუფლება/გადავადების კონკრეტული კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც მომავალში განიხილება ასეთი განცხადებები.

ადვოკატთა ინდივიდუალური განცხადებების დაკმაყოფილების თაობაზე 2017-2018 წლების საწევრო გადასახადისგან გათავისუფლება/გადავადების შესახებ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული იქნა **გადაწყვეტილება**:

ა) დაკმაყოფილდეს სხდომაზე წარმოდგენილი განცხადებები (გურამ ტარტარაშვილი, ჯემალ ბეჟანიშვილი, ნათელა სირაძე, მალხაზ ნიკოლაიშვილი, თეიმურაზ მეზერიშვილი, ალექსანდრე მეკვიძე, მარინე გაბუნია, თამარ დობტურიშვილი, ინგა ბიბილეიშვილი, იონა კიკვაძე, მარინა ძამსაშვილი, ემა არზიანი, შოთა პაპიაშვილი, თინათინ დანიშაშვილი, ჯაბა ჯამაგაძე, ლეილა ბერიაშვილი, მანანა გელაშვილი, მაყვალა მახარაშვილი, სოფიო ფირჩხაძე, დავით ჯანაშია, ნინო ნიშნიანიძე, ხათუნა თეზელაშვილი, მათა დემეტრაძე, სულხან ხმალაძე, თამარ თედლიაშვილი, ირაკლი შელია) განცხადებებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ განმცხადებლებს.

საკითხი 5.

წევრებმა განიხილეს უახლოეს წარსულში სისხლის სამართლებრივ დევნას და მსჯავრდებას დაქვემდებარებულ (რეპრესირებულ) ადვოკატთა რეაბილიტაციის კომისიის თავმჯდომარის, თამაზ ჯალიაშვილის წინადადება აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით დამტკიცებული კომისიის დებულების 2.2 და 3.1 მუხლებში ცვლილებების განხორციელების თაობაზე.

მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „უახლოს წარსულში სისხლის სამართლებრივ დევნას და მსჯავრდებას დაქვემდებარებულ (რეპრესირებულ) ადვოკატთა რეაბილიტაციის კომისიის“ დებულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

დებულების მე-2 მუხლის 2.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კომისიას შეუძლია განიხილოს ასევე, საქართველოს პარლამენტის 05.12.2012 წლის N76-I-ის დადგენილებით პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად ან პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირად მიჩნეულ მსჯავრდებულთა საქმეები“.

დებულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კომისიის საბოლოო ამოცანაა სამართლიანი სასამართლოს უფლების აღდგენა სისხლის სამართლებრივ დევნას და მსჯავრდებას დაქვემდებარებული (რეპრესირებული) ასოციაციის წევრი ადვოკატების ან/და ცალკეულ შემთხვევებში, აგრეთვე, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირად ან პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირად მიჩნეულ მსჯავრდებულთა მიმართ“.

საკითხი 6.

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო განმცხადებელი „დავების განმხილველი ცენტრის“ მიმართვა აკრედიტაციის მინიჭების შესახებ საგანმანათლებლო ღონისძიებაზე: „საარბიტრაჟო საქმის მართვა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

ა) დაკმაყოფილდეს „დავების განმხილველი ცენტრის“ განცხადება და აკრედიტაცია მიენიჭოს თემას „საარბიტრაჟო საქმის მართვა“.

საკითხი 7.

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ პროექტის „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების ამაღლების ხელშეწყობა საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ადვოკატთა უნარ-ჩვევების გაუმჯობესების გზით“ (დაფინანსება ღია საზოგადოების ფონდი) შესახებ ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ პროექტის „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების ამაღლების ხელშეწყობა საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ადვოკატთა უნარ-ჩვევების გაუმჯობესების გზით“ ფარგლებში საქართველოს მასშტაბით 200-მდე ადვოკატისთვის ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფისა და საკონსულტაციო სამართალწარმოებაში საკონსულტაციო კლინიკის მხარდაჭერის შესახებ.

საკითხი 8.

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელ კურსებზე რეგისტრაციის თარიღი განისაზღვროს 2018 წლის 9 აგვისტოდან 9 სექტემბრის ჩათვლით. საჭიროებიდან გამომდინარე, სასწავლო ცენტრის გადაწყვეტილებით, რეგისტრაცია შეიძლება გაგრძელდეს დამატებით კიდევ ერთი კვირით.

საკითხი 9.

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსის ლექტორების შესახებ.

წევრებმა მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად (7 მომხრე, 1 წინააღმდეგი (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ლექტორების – გოგა კუპრეიშვილის/დიმიტრი მჭედლიშვილისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ლექტორის – ნათია გუჯაბიძის ნაწილში) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსის ლექტორებად შერჩეულ იქნენ:

1. საერთაშორისო სამართალი – კონსტანტინე კორკელია;
2. საკონსტიტუციო სამართალი – ნინო ბოჭორიშვილი;
3. საკონსტიტუციო სამართალი – დავით წერეთელი;
4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი – გიორგი გვენეტაძე;
5. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი – გიორგი გვენეტაძე;
6. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ – გიორგი გვენეტაძე;
7. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი – ლაშა ჩხიკვაძე/დიმიტრი მჭედლიშვილი;
8. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი – გიორგი ტურაზაშვილი;
9. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი – გოგა კუპრეიშვილი/დიმიტრი მჭედლიშვილი;
10. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – ნათია გუჯაბიძე;
11. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ – ბესიკ სისვაძე;
12. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი – ბესიკ სისვაძე/ვახტანგ მჭედლიშვილი;
13. საქართველოს შრომის კოდექსი – ირაკლი ყანდაშვილი;
14. საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ – ნიკოლოზ გოგილიძე;
15. საქართველოს კანონი ოპერატიული და სამძებრო საქმიანობის შესახებ – ბესარიონ ბოხაშვილი.

საკითხი 10.

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია 2018 წლის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ადგილისა და სავარაუდო თარიღების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

განისაზღვროს 2018 წელს დაგეგმილ ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის გამოცდის ჩატარების ადგილი და თარიღები (სავარაუდოდ) - თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კილომეტრი, თავისუფალი უნივერსიტეტი; 1, 2, 8, 9, 15 და 16 დეკემბერი (თარიღები შეიძლება შემცირდეს გამოცდაზე დარეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით).

გასაჩივრების თარიღად განისაზღვროს 22 დეკემბერი (ეს თარიღი შეიძლება შეიცვალოს გამოცდაზე დარეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით, ამ შემთხვევაში გასაჩივრების თარიღად განისაზღვროს 16 დეკემბერი).

საკითხი 11.

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო 2018 წელს დაგეგმილი ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების საგამოცდო პროგრამა.

აღნიშნულ საკითხზე, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს 2018 წელს დაგეგმილი ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების საგამოცდო პროგრამა, წარმოდგენილი **დანართი 1** - ის შესაბამისად.

საკითხი 12.

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია 2018 წლის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის სამართლის ექსპერტთა ჯგუფის შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ საგამოცდო ტესტების **შემუშავებას, რედაქტირებასა და საჩივრების გასწორებას, როტაციის პრინციპით.**

აღნიშნულ საკითხზე, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს 2018 წლის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის სამართლის ექსპერტთა ჯგუფი **დანართი 2**-ის შესაბამისად.

საკითხი 13.

ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო რიგით მე-4 საერთაშორისო „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ“ კონფერენციის შესახებ ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხზე, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

აკრედიტაცია მიენიჭოს რიგით მე-4 საერთაშორისო კონფერენციას „საქართველო კონტრაფაქციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ“.

საკითხი 14.

ასოციაციის აპარატში ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების საკითხისა და ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 2 აგვისტოს მომართვის განხილვა;

აღმასრულებელი საბჭოს წევრები გაეცნენ ასოციაციის ეთიკის კომისიის 25.07.2018 წლის ეთიკის კომისიის სხდომის ოქმს, რომლის მიხედვითაც ეთიკის კომისიამ ხმათა უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის საშტატო ერთეული შემოღებისა და ეთიკის კომისიის აპარატის უფროსისა და ეთიკის კომისიის უფროსი იურისტის ფუნქციათა გამიჯვნის თაობაზე.

საბჭოს წევრებმა მართებულად მიიჩნიეს ეთიკის კომისიის მოსაზრებები ფუნქციების გამიჯვნის თაობაზე და აღნიშნეს, რომ მართლაც მიზანშეწონილია ეთიკის კომისიის აპარატის მენეჯერული ფუნქციების კონსოლიდაცია მოხდეს ეთიკის კომისიის აპარატის უფროსთან, ხოლო უფროსი იურისტს გააჩნდეს კომისიის სამართლებრივ და შინაარსობრივ საკითხებზე მუშაობის მეტი საშუალება.

აღნიშნულ საკითხზე, ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

ასოციაციის აპარატში ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების საკითხი გადაიდოს და გადაწყვეტილება მიღებულ იქნას ეთიკის კომისიის აპარატის უფროსისა და ეთიკის კომისიის უფროსი იურისტის ფუნქციათა გამიჯვნის და შესაბამისი სამუშაო აღწერილობების პროექტების მომზადების შემდეგ.

საკითხი 15.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატთა შესახებ და აღნიშნა რომ 2018 წლის 1 მაისს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 2018 წლის 14 მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის და შესაბამისად საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდა 2018 წლის 3 აგვისტომდე მაგრამ დღეის მდგომარეობით, საწევრო დავალიანების მქონე პირთა სიაში კვლავ საკმაოდ ბევრი ადვოკატია. ამასთან, ასოციაციის თვითმიზანი ნამდვილად არ არის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტა.

საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის 1-ლი ნაწილი იძლევა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან მასზე უარის თქმის შესაძლებლობას, მისი წინადადებაა 2018 წლის 01 მაისს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, მიმდინარე წლის 14 მაისს დაწყებული ადმინისტრაციული

წარმოებით დადგენილი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თაობაზე აღმასრულებელმა საბჭომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ფარული კენჭისყრით.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

ფარულ კენჭისყრაზე დადგა საკითხი 2018 წლის 01 მაისს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 2018 წლის 14 მაისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი საწევრო გადაუხდელ ადვოკატების ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ფარული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 3, წინააღმდეგი - 5) გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

საკითხი 16. სხვადასხვა.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სხვადასხვა კომიტეტებში გაწევრიანების მსურველი კანდიდატების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული **გადაწყვეტილება:**

ა) დაკმაყოფილდეს ნათია მანძულაშვილის განცხადება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე;

ბ) დაკმაყოფილდეს სოფიო ჩიხრაძის განცხადება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადმინისტრაციული და საგადასახადო კომიტეტის წევრობის თაობაზე;

გ) დაკმაყოფილდეს რობიზონ ხურცილავას განცხადება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის იმერეთის ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე;

დ) ქეთევან ბახტაძის განცხადების განხილვა ადვოკატთა ასოციაციის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე გადაიდოს აღმასრულებელი საბჭოს შემდეგი სხდომისათვის.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

დავით ასათიანი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის თავმჯდომარე